№ 11 იანვარი 17, შაბათი — 1887 — იანვარი 17, შაბათი № 11

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

ქართული თეატრი

კვირას, 18 იანვარს,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად

სადილი მარშლისას

კომედია 1 მოქ. ტურგენიევისა, გადმოკეთებული თ. რაფ. ერისთავისაგან.

II

ბაქი-ბუქი

კომედია 2 მოქმედ. ლობიშისა, ფრანგ. გადმოკეთებული ა. თუმანიშვილისაგან.

III

პირველად:

დამთხვეული

ვოდევილი 1 მოქ., გადმოკეთებული ავ. ცაგარლისაგან.

მოთამაშენი: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, საფ-აბაშიძისა, ლეონიძისა, თამაროვისა; ბბ. აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი, აწყურელი, ცაგარელი და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 16 იანვარი

1866 წელს, როცა ბისმარკმა დაუპირა ავსტრიას ომი, რათა სრულებით გერმანიაზედ ხელი აღლებინოს და პირი აღმოსავლეთისაკენ აქმნევინოს, მაშინ აქა-იქ ხმები ისმოდა, რომ ბისმარკი ნაპოლეონს დაჰპირდაო, ოღონდ შენ ხელს ნუ გამიღებ, ნუ დამიშლი ავსტრიაზედ გული ვიჯერო და იმ ნაწილს ბელგიისას, რომელიც შენს მხრივ არის, შენს ანაბარად დაგიგდებ, თუნდა გადაყლაპე, თუნდა რაც გინდა, ის უყავიო; ერთის სიტყვით, — შენც „სუ“, როცა მე ავსტრიას წეწვას დავუწყებ და მეც „სუ“, როცა შენ ბელგიას კლანჭს გამოსდებო. რა თქმა უნდა, ბისმარკმა ნაპოლეონი ამით დაითათბირა, ავსტრია მიამტვრია, გერმანიიდამ გამოაძევა და უბძანა: შენ აქ ხელი არა გაქვს, შენი საქმე აღმოსავლეთიაო და ნაპოლეონს კი შეუთვალა, ბელგიაზედ ნურას უკაცრავოდაო. ეს ხმები მაშინ ჭორად დადიოდა და ამ ჭორს ზოგიერთი საბუთი ჰქონდა. საფრანგეთისათვის ავსტრია დიდი რამ იყო, რადგანაც სცილობდა მისის მომხრეობის შიშით პრუსია, რომელიც დღე და დღე ძლიერდებოდა, თავის ქერქში ემყოფებინა მით უფრო, რომ მაშინ გერმანიაში უპირატესობისათვის ავსტრიას და პრუსიას მუდამ ერთმანეთში ცილი ჰქონდათ და ერთმანეთის ჯიბრი. ვის არ უნდა გაჰკვირებოდა, რომ ნაპოლეონმა ხმა არ ამოიღო და ავსტრია პრუსიას გაათელვინა და ამისათვის არას გამორჩა-რა!... აი იმ ხმების სათავე სად და რაში იყო. თუ იმ ხმებს დავიჯერებთ, ნაპოლეონი III, მაშინ ევროპის თავმომწონე და ძლიერი ბძანებელი, ამ ჩვენმა ბისმარკმა ყინულზედ გააცურა, თავის წადილი აისრულა და იმას კი თითი გამოუყო. თუ კიდევ იმ ხმებს ავყვებით, — ეს ამბავი ნაპოლეონმა გულში ჩაიხვია და როცა 1870 წელს საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთზედ საომრად აიღურსნენ და შეტოტინდნენ, ხმა გაისმა ევროპის ჟურნალ-გაზეთობაში, რომ თავი და თავი მიზეზი ამათის აშლილობისა ბისმარკისაგან ნაპოლეონის მოტყუება არისო და ნაპოლეონი ჯავრს იყრისო.

რამოდენად მართალია ის ამბავი, რომ საფრანგეთსა და გერმანიას ბელგიაზედ რაღაც ლაპარაკი ჰქონიათ და რაღაც სიხარბით თვალი სჭერიათ, — ჩვენ ამის გამოკვლევას ვერ გამოვუდგებით და დღეს არც საჭიროა. ჩვენ მხოლოდ ამას შევნიშნავთ, რომ როცა გერმანიას და საფრანგეთს მტრობა გაუმწვავდებათ, პატარას და ბედნიერს ბელგიას ჰკავო აემლება ხოლმე. საკვირველიც არ არის: ერთის ლუკმას ბელგიას ცალ-მხრით საფრანგეთი მისწოლია და მეორეს მხრით გერმანია და აბა აქლემები რომ წაიკიდნენ, კოზაკს რა ხეირი დაეყრება. და აი ბელგია საომარს მზადებაშია და ამის გამო ერთი გაზეთი ამბობს: „მთელის ევროპის გასაოცებლად ეხლანდელის ვაივაგლახის მიზეზად პაწია ბელგია გამოდისო“. ამის თქმა—თუ დაცინვა არ არის — მეტის-მეტი სითამამეა გაზეთის მიერ, მაგრამ ბელგია ისეთის სისწრაფით და სიჩქარით იჭურვება იარაღითა და საომრად ემზადება, რომ მართლა შესანიშნავია. ბელგიის სამხედრო მინისტრს ამ დღეებში უთქვამს, რომ სწრაფად შეიარაღება აუცილებელი საჭიროება არისო. გამოსულა ბელგიის მეფის ბძანება, რომ ჯარს მოემატოს კიდევ ორი ახალი რაზმი. შინ დათხოვნილის ზურგის ჯარის აფიცრები მოიწვიეს, რომ ყველამ თავ-თავისი ადგილი დაიჭიროს ჯარში და ამასაც უმატებენ, რომ ამ დღეებში პალატაში შეტანილი იქნება წინადადება, რომ აეკრძალოთ ცხენების გაყვანა ბელგიიდამ და წინადვე აღინიშნოს წესი საომარის ბეგარისა, თუ ვინიცობაა ომი მოხდა. რა თქმა უნდა, აქედ-იქიდამ იკითხავდნენ, — ამ ფაცა-ფუცის მიზეზი რა არისო და ამაზედ ბელგიის მეფის ლეოპოლდის სამინისტრო პასუხს იძლევა, რომ ჩვენ ფიქრად სხვა არა გვაქვს-რა გარდა იმისა, რომ მტრის შემოსევის შიში გვაქს და იმის დასახვედრად ვემზადებითო; არ გვინდა საქმეთა გარემოებას და განსაცდელს ისე ხელ-ცარიელები დავხვდეთ, როგორც 1870 წელს მოგვივიდა, როცა კინაღამ ჩვენ ჩვენი დამოუკიდებლობა ხელიდამ არ გამოგვეცალაო.

რა თქმა უნდა, ბელგიამ ასე უნდა ახსნას თავისი დღევანდელი ყოფა და გაცხარებული მზადება. სხვა საბუთიც რომ ჰქონდეს და სხვა გულის ნადები, ამისი წინასწარ-თქმა მიუტევებელი ცდომა იქმნება ბელგიის მხრით. ვინ იცის, ბელგიას რის ალღო აუღია და რის ქარი და ზარი ამოქმედებს? ადამიანის სიხარბეს საზღვარი არა აქვს: ვერვინ იტყვის, რომ ცალ-მხრით საფრანგეთს და ცალ-მხრით გერმანიას გემრიელის ლუკმის პირში ჩადება ეზარებოდეთ. მართალია, ბელგიის დამოუკიდებლობის თავდებობა ინგლისსა აქვს ნაკისრები, მაგრამ აქედამაც არვინ იცის რა გამოვა. ძნელი გამოსაცნობია, დრო და ჟამი რას მოიტანს, ვის როგორ გაუჭირებს საქმეს, ვის ვისთვის და როგორ მოაცლის? დღეს კი ისეთი დღეა, რომ ყველას მარტო თავის-თავი გახდომია თავში საცემლად.

ახალი ამბავი

⁂ აცივდა თუ არა ტფილისში და თოვლი დაინახა ხალხმა, გაძვირდა ყოველ-გვარი ხორაგეულობაცა. ჯერ-ჯერობით გაძვირება უფრო ხორცს დაეტყო; 7 კაპეიკის მაგიერ გირვანქა ხორცი ცხვრისა და ძროხისა გუშინდლიდამ, გამგეობის ნება-დართვით, რვა-რვა კაპეკად იყიდება. ტფილისის გარშემო დიდი თოვლი მოვიდა და საქონელი ბლომად ველარ მოგვირეკია ტფილისშიო, ამბობენ ჩოდრები და ფუთს ხორცს თვით საყასბოზედვე ნავთლუხში, 14 აბაზის მაგიერ, სამ მანათად ჰყიდიან. გირვანქა ოსური და მთის ყველი ყველგან თითქმის აბაზად იყიდება, ერბო—ექვსადა და

ფელეტონი

უცხოთა შორის

ტყუილი ოცნება.—უსინათლო მოხუცი-ჰომიროსი, „ილიადა და ოდისეს“ დამწერი. —იყო ქვეყანაზე შექსპირი?—ვინ არის „ჰამლეტის“ ავტორი? — არტისტი პოკლენი—მოლიერი.—ვინ არის მოლიერის კამედიების ნამდვილი ავტორი? — „რკინის ნიღაბოსანი.“—ოქროს თეფშზე ამოჭრილი ლექსი. — საიდუმლო საიდუმლოდ დარჩა.—კაცობრიობის უმადურობა.— ვის ივიწყებენ და ვის სახელს საშვილი-შვილოდ სტოვებენ?—ლუიჯი მანცანტინი. — უხელ-ფეხო კაცი კაბელკოვი პარიჟში. — კაბელკოვის ხერხი.—უზდელი პატარძალი.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენთვის უთქვამთ, პატარაობიდგანვე შთაუგონებიათ: ესა-და-ეს ნაწარმოები ამა-და-ამ კაცის კალამს ეკუთვნისო. თქვენც ერთხელ-და ერთხელ დაგიჯერებიათ, გრწამთ და მტკიცე, შეურყეველ ჭეშმარიტებად მიგაჩნიათ ეს ამბავი. ახლა წარმოიდგინეთ, რომ უეცრად გეუბნებიან: არა, თქვენი რწმუნება არამც თუ მტკიცე, შეურყეველი ჭეშმარიტებაა,—მტკნარი სიცრუეა, ტყუილი ოცნებაა! თქვენ გაიკვირვებთ, არ დაიჯერებთ! მაგრამ რას იტყვით, როცა უტყუარ საბუთებს წარმოგიდგენენ?

ვის არ გაგიგონიათ ჰომიროსის სახელი, იმ უსინათლო მოხუცისა, რომლის ნაწარმოები „ილიადა და ოდისეა“ მთელმა ქვეყანამ იცის. დიდ ხანსა მტკიცედა სწამდათ, რომ ამ წიგნების დამწერი სწორედ ჰომიროსი იყო. ბოლოს ცოტა ეჭვი შეიტანეს და დღეს კი მეცნიერები თითქმის ერთხმად ამბობენ, რომ ჰომიროსი მოგონილი, შეთხუზული სახელია, რომ ჰომიროსი არც კი ყოფილა ქვეყანაზეო, რომ „ილიადა და ოდისეაში“ შეკრებილი ამბები „რაპსოდების“, მესტვირე-მოლექსეების ნათქვამია; ყველა ეს ნათქვამი ორ წიგნში მოუგროვებიათ და ჰომიროსის სახელით მოუნათლავთო.

ამ სახით ლამის ზღაპარი გამოდგეს ის ამბავი, ვითომ ქვეყანაზე ყოფილა უსინათლო მოხუცი ჰომიროსი, რომელსაც საკვირველი ლექსები დაუწერია.

⁂

სწორედ ასეთი საქმე მოსდის დღეს შექსპირსაც, იმ შექსპირს, რომელსაც მთელი ქვეყანა პირველ მწერლადა სთვლის, დიდ გენიოსს უწოდებს, იმ შექსპირს, რომელმაც ხელის გულივით გადაგვიშალა ადამიანის გული, დაგვანახვა გულის და სულის იდუმალი მოძრაობა, და ყველა ეს ისე ცხოვლად და ნათლად დაგვიხატა, რომ კაცობრიობა დღეს შექსპირს მეორე შემოქმედად ჰსახავს. დღემდინ ყველას მტკიცედა გვჯეროდა, რომ „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“, „ოტელლო“, «ვენეციელი ვაჭარი» და სხვა ბევრი ამ გვარი „ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტები“ შექსპირის დაწერილი იყო, და აი დღეს კი გვეუბნებიან, რომ არა, დღემდინ ყველანი ვცდებოდითო, რომ ყველა ეს ტყუილია, რომ ქვეყანაზე შექსპირი არა ყოფილაო, შექსპირი მოგონილი სახელიაო. „ჰამლეტის“ ავტორი შექსპირი კი არა, ბეკონიაო, ის ბეკონი, რომელმაც თავის ფილოსოფიით ძირეული ცვლილება მოახდინა მეჩვიდმეტე საუკუნეში და სრულიად ახალი მიმართულება მისცა მეცნიერებას. შექსპირი მოგონილი მეტი სახელია ამ ბეკონისაო. თურმე ნუ იტყვით, ბეკონს მოცლილ დროს, სხვათა შორის, უცოდილებია კალამი და ეს „ნაცოდილები“ ყოფილა ის მარგალიტები, რომელსაც დღეს ჩვენ „ჰამლეტს“, „ოტელლოს“ და „მაკბეტს“ ვეძახით. დიახ, ასე მიგვაჩნდა დღეს ყველას ეს ნაწარმოები, მაგრამ, როგორც ეტყობა, ან ასე არ უცქეროდა ამათ თვით ავტორი, ან სხვა მიზეზების გამო, საჭიროდ დაუნახავს მოგონილის გვარით ეწერნა. აქაც დღეის იქით ლამის განგებ მოგონილ ზღაპრად უნდა ჩაითვალოს ვილაც შექსპირი, ამისი ცხოვრება, რადგან შექსპირი და ბეკონი ერთი და იგივე კაციაო.

ამას ამბობს ავტორი ერთის წიგნისა, რომელიც ამ ხანებში დაიბეჭდა ინგლისში. წიგნში ისეთი უტყუარი საბუთები მოჰყავს თურმე ავტორს თავის სიტყვის დასამტკიცებლად, იმდენი ადგილები აქვს ამოწერილი ბეკონის თხზულებიდამ, რომელიც სიტყვა-სიტყვით გამეორებულია შექსპირის ნაწერებში, რომ ლამის დაერწმუნო ავტორის აზრს: შექსპირი და ბეკონი ერთი და იგივე კაციაო.

⁂

ჰომიროსის და შექსპირის დღე ადგება საწყალ მოლიერსაც. საფრანგეთშიაც ცილსა სწამებენ მოლიერს, იმ მოლიერს, რომელმაც დასწერა „ძუნწი“, „სკაპენის ცუღლუტობა“, „ძალად ექიმი“ და სხვანი; იმ ოხუნჯს, ხუმარა, სიტყვა მოსწრებულს მოლიერს, რომლის უკვდავი კომედიები ადამიანის ავ-კარგიანობას საოცარის სიმართლით გვიხატავს და დღესაც სასიამოვნო საკითხავი და სცენაზე სანახავი არის.

„ვინ მოლიერი, რა მოლიერიო! —როგორც მე ვარ ავტორი იმ კამედიებისა, რომელსაც მოლიერის კამედიებს უწოდებენ, ისე მოლიერიო. ქვეყნაზე არც კი ყოფილა ამ სახელის კაცი. იყო მხოლოდ ერთი არტისტი, ჟან ბაპტისტი პოკლენი, რომელსაც სცენაზე მეტი გვარი მოლიერი ერქვა. რომ ეს არტისტი, მოლიერი-პოკლენი არ იყო დამწერი ამ კამედიებისა, ამის დამამტკიცებელი საბუთი ხელში მაქვსო.“

ამას ამბობს ავტორი ერთის წერილისა, რომელიც ამ ხანებში დაიბეჭდა საფრანგეთის ერთს დიდს გაზეთში.

აი რა საბუთით ამტკიცებს ავტორი თავის აზრს. «მამა-პაპისაგან დარჩენილ ხელთ-ნაწერებშიო, ამბობს ავტორი, ერთი ქაღალდი შემხვდა,

შეიდ-შაურად, კვერცხი თითო ორ-ორი კაპეიკი და სხვანი.

⁂ სომხური სათეატრო დასი ისევ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრს ეწვია. გუშინ პირველი წარმოდგენა ჰქონდათ სომხებს ქართულს თეატრში. თამაშობდნენ ბ-5 სუნდუკიანცის კომედიას «კიდევ ერთი მსხვერპლი» და ერთი სცენა შილლერის ტრაგედიიდამ „ავაზაკნი“. ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო.

⁂ ამ ჟამად ტფილისში გაცხარებული სეზონია კონცერტებისა და გახშირებულის სატანცაო სალამოებისა. დიდ-მარხვის დაწყობამდე, როცა კონცერტების მეტი სხვა გასართობი თითქმის არა ექნებათ-რა ტფილელებს, ეშურებიან სატანცაო სალამოები ლატარიათი მრავლად გამართონ. ამ მოკლეს ხანში, იმათ გარდა, რაც უკვე გაიმართა, რამდენსამე სატანცაო სალამოს გამართვას აპირებენ საქველმოქმედო განზრახვითა. ერთი გაიმართება კრუჟოკში 25 იანვარს მეორე გიმნაზიის შეუძლებელ შეგირდების სასარგებლოდ, მეორე ხვალ, 18 იანვარს, კრუჟოკშივე ციმბირში გაგზავნილების შეილთათვის თავ-შესაფარის გასამართავად. 26 იანვარსაც აპირებენ კონცერტს ერთის ფრიად სასარგებლო საზოგადოების შემწეობისათვის. 1 თებერვალს ბალს აპირებენ ქართულ დრამატიულის საზოგადოებისათვის, ყველიერში კიდევ—წერა-კითხვის საზოგადოება აპირებს ბალს. ყველიერამდე ბ-ნის ალნიაშვილის ხოროსაც განზრახვა აქვს ერთი კონცერტი კიდევ გამართოს..

⁂ ამ დღეებში ორი ფრიად ხნიერი და მოხუცებული ქართველი ადამიანი გარდაიცვალა. ერთი იყო ტფილელი დედა-კაცი და სცხოვრებდა აელაბარში და მეორე—სოფელ ვეჯინის მცხოვრებელი. აელაბრელი დედა-კაცი 125 წლისა ყოფილა, 70 შეილი ჰყოლია, თავის სიცოცხლეში ავად არ გამხდარა თურმე და სიკვდილამდე სრულს ჯანსა და ღონეზე იყოვო. ვეჯინელი გლეხი ათამ თარუგაშვილი 112 წლისა იყო და სულ 11 შვილი ჰყავდაო. უფროსს შეილს ათამისას ორი შეილიშეილი ჰყავსო. ათამი ხელობით დალაქი იყო და ღრმა მოხუცებულობამდე ჰშველოდა ყველას, ვისაც-კი ან სისხლის გამოშვება დასჭირდებოდა, ან სუბუქის ავად-მყოფობის წამლობა. ამ დროული კაცი მეტად მხნე და ჰარმაგი მოხუცი იყო და ისეთი მხედველობა და კბილები ჰქონდა, როგორც ყმაწვილ-კაცსაო. ათამს კარგად ახსოვდა რუსების შემოსვლა საქართველოში 1801 წელს და დიდის დაწვრილებით მოუთხრობდა ხოლმე ყმაწვილ-კაცობას ძველის-ძველ ამბებსაო.

⁂ აელაბარში ქვით დაფენილი ქუჩები იშვიათია,—ზოგან ისეთი ტალახიანი ქუჩებია, რომ კაცს გავლა არ შეუძლიან. ამ გვარი ქუჩაა ფლავანდოვის ქუჩაც. გვიკვირსო, ჩივიან აელაბრელები,—სახლის დასაფასებელ ფულებს კიართმევს ქალაქის გამგეობა სახლის პატრონთ და ქუჩებს კი არავითარს ყურადღებას არ აქცევსო. მთელის ქუჩის ქვით დაფენას ვინლა ჩივის, ნეტა ერთი გასავლელი გზა მაინც დააგონ ქვითა, რომ ავდრების დროს კაცს მეზობელთან მისვლა მაინც შეეძლოსო.

⁂ ქართლიდამ გვწერენ: ჯარის-კაცთა სიებს ადგენენ; ზოგიერთს ადგილებში კიდეც მორჩნენ. ამ ჟამად იმ პირთა სიებს ადგენენ, რომელთაც კენჭი უნდა უყარონ ამ წლის ენკენისთვესა, ან ღვინობისთვეში. ჩვენში ეს ახალი საქმეა და ამწერელნი, ვგონებთ, შეცდომებს ვერ ასცდებიან თუ გულის-ხმიერად არ მოჰკიდეს ხელი. ცხრამეტიდამ ოც-და-ერთს წლამდე უნდა გაიყვანონ ჯარის-კაცად. ხმა არის, რომ ბევრი მოჰყოლია ოც-და ორის წლისა; ზოგი მამა ორმოც-და-თექსმეტისა და სამოცის წლისაა, უფროსი შეილი ოცისა ჰყავს, დანარჩენი შეილები-კი მცირე წლოვანნი არიან. კანონით ამ გვარს ხნიერს მამას შეილს ვერ გამოართმევენ, რადგანაც ოჯახში მუშა-კაცი აღარა რჩება. როგორც ვსთქვით, საქმის სიახლესა და ჩაუკვირვებლობის გამო სიებში ბევრნი მოჰქცევიან ისეთნი, რომელთა გამოყვანა უკანონოა. ამ გვარ პირთა შეუძლიანთ ქაღალდი მიართვან საკენჭოსნო კამისიას, რომელიც გაარჩევს საქმეს და სიიდამ ამოუშვებს.

⁂ გორის საზოგადო „კრუჟოკა“(?) ამ თთვეში თურმე ჰმართავს სალიტერატურო სალამოს, ანუ უკეთ ვსთქვათ, მართავს დღესასწაულს რუსეთის პოეტის პუშკინის მოსაგონებლადაო.

⁂ სოფ. შაშიანიდგან გვწერენ: სამრევლო სკოლა გაგვიმართვინეს, მაგრამ ყურადღებას კი აღარ გვაქცევენ. სასწავლო ნივთები ყმაწვილებს არა აქვთ, რომ რიგიანად წერა-კითხვა ისწავლონ. თუმცა ამ გვარ სკოლის პირველ მოსაწყობად შემწეობას გვპირდებიან, მაგრამ ჯერ არაფერი შემწეობა მოუციათო.

⁂ ვლადიკავკავიდამ გვწერენ: მინდვრის ოსების ჯეჯილებს კარგი პირი უჩანს ჯერ-ჯერობით. წარსულს დეკემბრის 24 და 25-თამდე ისეთი დღეები იყო, რომ გაზაფხულის ტკბილ დღეებს მოგვაგონებდა, მაგრამ შემდეგ დაიწყო ხმელი სიცივეები და თოვლს ველარ ველირსენით. ახალმა წელიწადმა-კი ქარი და ცივი ამინდი დაგვიყენა: სამი დღე იქროლა ქარმა და თოვლი-კი თვალით არ დაგვანახვა. ხალხი ძალიან შიშობს, ვაი თუ უთოვლობამა და ხმელმა სიცივემ რამე ვნება მისცეს ჯეჯილებსაო.

⁂ იქიდამვე გვწერენ: ეს ერთი კვირა იქნება, მინდვრის ოსებში ხმა გავარდა, რომ მოზდოკის მხარეს ერთ სოფელში, რომელსაც ერასტის უწოდებენ—იქაურმა ოსმა-აფიცერმა შვიდი ავაზაკი მოჰკლაო. აი როგორ ყოფილა საქმე: სოფ. ერასტს ახლო ერთი დედა-კაცი მიდიოდა ურმით ერთს სოფელში და ნათესავთან ძღვენი მიჰქონდა; თან მხოლოდ ორი პატარა ბიჭი ჰყავდა. იმ დედა-კაცს შეხვდა ათი კაცი ავაზაკი, გადაუდგნენ წინ და დედა-კაცს ცხენის წართმევა დაუპირეს. დედა-კაცი გადმოხტა თურმე ურმიდგან, მოიხადა ჩანდილი, გაუშალა ფეხ-ქვეშ ავაზაკებს და უთხრა ვედრებით: მე და ეს პატარა ბიჭები თქვენის მკვდრის სტუმრები ვართ, ჩვენ ნურაფერს ვნებას მოგვაყენებთ და ცხენიც წაიყვანეთ და რაც რამა გვაქვს ურემში, ისეც წაიღეთო. ამ დროს თურმე ერთმა ავაზაკმა დაიძახა: „ვალაჰე! ჩვენში დიდი სირცხვილი არის, დედა-კაცი რომ ასე მოიქცეს და იმის სიტყვას პატივი არა სცეს კაცმაო.“ ავაზაკებს გაენებებინათ თავი დედა-კაცისათვის: აღარც ცხენი წაეყვანათ და აღარც სხვა რამე წაეღოთ. დედა-კაცს მოებრუნებინა ურემი და იქვე ახლო სოფ. ერასტში მისულიყო და შეეტყობინებინა ყველასათვის თავისი ამბავი. სოფლიდან მდევარი დასდევნებოდა ავაზაკებს; მაგრამ ყველაზე წინ ერთი აფიცერი ოსი წასულიყო, ავაზაკებისთვის ეწყელნა და ერთ ვიწრო ალაგას გზაზედ ჩამჯდარიყო ხრამში. დაეწყო იქიდან თექვსმეტ სროლიანის თოფით სროლა და შვიდი კაცი ავაზაკი მოეკლა. სამი გაქცეულიყო, მაგრამ ის სამიც ცოცხლები დაეჭირათ მდევრებს.

⁂ გაზ. „კავკაზსა“ სწერენ გურიიდამ: ჩვენში ბევრნი არიან აზნაური ქონიებიო. ამ გვარს უსიამოვნობა აქვს თავად გურიელებთან ტყის გამო, თუმცა ზოგნი ქონიათაგანნი ძალიან კარგად არიან მათთან და მისვლა-მოსვლაცა აქვთო. ერთი ამ ქონიათაგანი ახალ-წლის მეორე დღეს მიდიოდა თ. მამია გურიელთან და თან მიჰქონდა გარეულის ღორის თავი ძღვნად. დაუხვდნენ სხვა ქონიები და წაართვეს ძღვენი. შეიქნა ჩხუბი და საწყალს მამიასთან მიმავალს ქონიას თავი გაუჩეხეს კეტითაო, რის გამოც მაშინვე სული განუტევაო. ამაზე შესდგა საქმე და დამნაშავენი პასუხის-გებაში არიან მიცემულნიო.

⁂ ამ ჟამად, როგორც ამბობს გაზეთი „ნოვ. ობოზ.“, ფრანგებს შეუდგენიათ დიდი საზოგადოება და გამოუგზავნიათ საქართველოში თავისი აგენტები იმის შესატყობრად, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენში ღვინის მოყვანა და დაყენება. საზოგადოებას განზრახვა აქვს თავად მიჰყოს ამ საქმეს ხელიო. ამისათვის სხვა-და-სხვა პროექტები შეუდგენია და მთავრობისათვის წარუდგენია დასამტკიცებლადა.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ ტფილისში შეუდგენიათ ახალი პროექტი კავკასიის მამულების გამიჯვნისაო. დამწერს პროექტი წარუდგენია სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსათვის.

დამაკვირდი!

წუურვილი გამორჩომისა და მოგებისა გულსაც აშრობს და ჭკუასაცა. (ბუასტი)

⁂

დაუდევრობა, უზრუნველობა—ძილია ჭკუისა. (ვოვენარგესი)

⁂

მშიერთა ცრემლნი მაძღართა
გულ-ქვათა ვერ ალბობდიან.
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

ხარბის კაცის წესა არის,
თვით არ მასცემს, სხვისგან იძღევს.
(არჩილ მეფე)

ლაზა ტსოფელი

(მოწერილი ამბავი)

პუტა, ამიერ-კავ რკინის გზის სადგური (ბაქოს გუბერნია). ბაქოს გუბერნიაში, რკინის გზის სადგურ პუტას ახლოს, 5 იანვარს ერთი შესანიშნავი მოვლენა ვიხილეთ.

ღამის 11 საათზე მოისმა უცნაური ხმა ქვესკნელიდამ. ყველამ დედამიწას დავუწყეთ ცქერა. გავიდა 2—3 წუთი და მოისმა კიდევ ხმა. ხმა ისეთი იყო, რომ გეგონებოდათ დიდრონ ზარბაზნებს ისვრიანო. ამ დროს განათლდა მთა და ბარი. სინათლე სწორედ ისეთი მოიფინა, თითქო ელექტრონის სინათლეაო. მიწიდგან ამოვარდა დიდი უზარ-მაზარი ცეცხლი და დაიჭირა ადგილი სიგრძით 200 და სიგანით 100 საჟენი. სიმაღლეც

რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი სიტყვები ამოვიკითხეთ:

«არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ის კამედიები, რომელთაც სცენაზე მოლიერის სახელით ადგენენ, მოლიერის დაწერილი არ არის. ეს ადვილად დასაჯერია, რადგან ყველამ ვიცით, რომ მოლიერი სრულიად უსწავლელი კაცია და თავის სახელის მოწერაც არ იცისო. როდესაც მოლიერს ხელმწიფის ნახვა უნდა, ქაღალდზე ჯვარსა ჰსვამს და ასე მიართმევს ხოლმე ხელმწიფეს,—ხელმწიფემაც კარგად იცის, რის ნიშანიც არის ეს ჯვარი. ხელმწიფე მაშინვე ბრძანებას გასცემს ხოლმე, რომ სუფრაზე ერთი ადგილი მეტი დასტოვონ, და სადილის დროს მოლიერს ჩუმად რაღაცა დახვეულ ქაღალდს აძლევს, ცის-ფერის ბაწრით შეკრულს. ეს ქაღალდი — ხელთ-ნაწერი კამედიებია, სწორედ ის კამედიები, რომელსაც ვითომ თვითონ მოლიერი სწერსო. არა, ეს ესე არ არის და თვით მოლიერმაც არ იცის, ვინ არის ავტორი ამ კამედიებისა. მოლიერს, როგორც თეატრის დირექტორს, მხოლოდ აძლევდნენ მზად დაწერილს კამედიებს, რომ სცენაზე „წარმოედგინა“.

მაშ ვინ იყო ამ კამედიების ავტორი? ეს ისეთივე საიდუმლოა, როგორც ერთი უცნაური და გაუგებარი ამბავი, რომელიც ისტორიას დღემდის ვერ გამოუკვლევია და ნამდვილად ვერ შეუტყვია.

აი საქმე რაშია. ლუდოვიკ მეთოთხმეტის მეფობის დროს მთელ საფრანგეთში განთქმულს, საშინელს ციხეში, ბასტილიაში, ერთი კაცი იყო დაპატიმრებული. ამ უბედურმა პატიმარმა მთელი თავის სიცოცხლე ამ ბასტილიაში გაატარა,—ცალკე ოთახში იყო მაგრად ჩაკეტილი და პირი-სახეზე რკინის ნიღაბი ჰქონდა ჩამოფარებული. რა დანაშაულობა მიუძღოდა ამ კაცსა, რომ ასე სასტიკად იყო დასჯილი,—არავინ იცის. აგრეთვე არავინ იცის ამ კაცისა არც შთამომავლობა, არც ვინაობა, არც სახელი,—დღესაც ისტორიაში ეს კაცი იხსენიება, როგორც «რკინის ნაღაბოსანი».

ყველაფერზედ კი ეტყობოდა, რომ დიდის გვარისა და შეძლების კაცი უნდა ყოფილიყო, რადგანაც პატიმრისთვის მდიდრად იყო ოთახი მორთული, თვითონ პატიმარს ძალიან აზიზად ინახავდნენ, რაც კი ძვირფასი საჭმელი და სასმელი მოიძებნებოდა, ის მიერთმეოდა ხოლმე და სუფრის ავეჯიც სულ ვერცხლისა და ოქროსი ჰქონდა. ამ ყოფაში დაასრულა ამ კაცმა თავის სიცოცხლე და დღესაც არავინ იცის, ვინ იყო იგი და რისთვის იყო დაპატიმრებული.

ზემოდ-მოყვანილ წერილის ავტორი ჰფიქრობს, რომ სწორედ ეს «რკინის ნიღაბოსანი» იყო ავტორი იმ კამედიებისა, რომელსაც ვითომ მოლიერი სწერდაო. ამის დასამტკიცებლად აი რა საბუთი მოჰყავს:

ერთს დღეს თხრილში, რომელიც ბასტილიის ციხეს გარსა ჰქონდა შემოვლებული, ერთი ოქროს თეფში იპოვნეს. ამ თეფშზე დანით ამოჭრილი იყო ლექსი; ლექსში სხვათა შორის იხსენიებოდა კამედია „მიზანტროპი“, რომელიც იმ დღეებში უნდა ეთამაშნათ სცენაზე. ოქროს თეფში ციხის ზედამხედველს მიუტანეს, რომელიც დიდს განცვიფრებაში მოვიდა, როდესაც ლექსი წაიკითხა და კამედია «მიზანტროპის» სახელი შეჰხვდა. ამ გარემოებამ მით უფრო გააკვირვა ზედამხედველი, რომ ხელმწიფემ მხოლოდ წინა დღეს გარდასცა კამედია „მიზანტროპი“ მოლიერსა. საიდამ უნდა სცოდნოდა ამ კამედიის სახელი იმ კაცსა, რომელიც ასე მოშორებული იყო ქვეყანას და თითქმის ციხეში დამარხული.

„ცხადია, — ამბობს იგივე ავტორი, რომ ნამდვილი ავტორი ეგრედწოდებულის მოლიერის კომედიებისა იყო ის კაცი, რომელიც «რკინის ნიღაბით» ციხეში მაგრა იყო ჩაკეტილი. ეტყობა, ამ უბედურმა ის ოქროს თეფშიც, ზედ ამოჭრილის ლექსებით, იმიტომ გადმოაგდო თხრილში, რომ როგორმე შეეტყობინებინა ნამდვილი სახელი ავტორისა იმ კამედიებისა, რომელსაც ვითომ მოლიერი სწერდა, ამითი ყურადღება მიექცია და, იქნება, როგორმე შეემსუბუქებინა თავისი უბედური და მრავალ-ტანჯული ხვედ-ბედი.

ვერ გასჭრა ამ უბედურის იღბალმა: —ოქროს თეფშში ზედ ამოჭრილი ლექსით სადღაც გადაკარგეს, საქმე სრულიად მიმალეს, სასტიკად დაცული და დაფარული საიდუმლო ისევ საიდუმლოდ დარჩა და აგრეთვე საიდუმლოდ დარჩა ისიც,—ვინ იყო ნამდვილი ავტორი მოლიერის კამედიებისა, და ან ვინ იყო ეს საოცარი „ნიღაბოსანი“ კაცი?

⁂

«უმადურებავ, შენ გულ-ქვაო შავო სატანავ!»—სთქვა შექსპირმა. სწორედ ეს უმადურება არ არის კაცისაგან, რომ მაშინდელმა კაცობრიობამ არც კი დაინახა საჭიროდ, ნამდვილად შეეტყო, ვინ არიან ის სახელოვანი მომქმედნი, როგორც ჰომიროსი, შექსპირი, მოლიერი, რომელთ ნაღვაწი წარმოადგენს უდიდესს განძს კაცობრიობისათვისვე? უმადურობა არ არის, მაშ რა შავი-ქვაა, რომ მაშინდელმა კაცობრიობამ ამ სახელოვანის კაცების ნამდვილი ამბავიც არ დაგვიგდო ჩვენ! დღეს მათ ნამოქმედარს კი ვხედავთ და სახელზე კი ვქვობთ. მოდი და ნუ იტყვით ამას იქით:— ჰოი სოფელო, ცუდ სამყოფელო!...

კაცმა ჰომიროსი, შექსპირი და მოლიერი კი არ დაიხსომა, და თავის სამარცხვინოდ ლუიჯი მანცანტინის სახელს კი საშვილი-შვილოდ გადასცემს.

ვინ არის ეს ლუიჯი მანცანტინი? იგი არის ერთი ისპანიელი, რომელიც ამ ორიოდე წლის წინად სადღაც ქარგლად თუ დახლიდრად მსახურებდა და თვეში სამს თუმანს ჯამაგირს იღებდა. დღეს-კი დიდი სახელი გაითქვა. რითა? იმითი, რომ ებრძვის განგებ განძვინებულს ხარს და ხალხი თეატრსავით გამართულს ადგილს მოგროვილია და სეირს უყურებს. ისპანიაში ამისთანა უწყალო და ულმობელი შესაქცევარი დიდად მი-

ექნებოდა ცეცხლს, როგორც მე ვფიქრობ, არა ნაკლებ 50 საჟენისა. მალე ყველა მიეხვდით, რომ ეს მოვლენა ვოლკანებური ცეცხლის-ფრქვევა იყო დედა-მიწიდამ. პუტას სადგურში ისე დაცხა ამ ცეცხლის გამო, რომ გარედ დგომა გაჭირდა საღამოს 11 საათიდგან დილის 5 საათამდე. შემდეგ, თუმცა დედა-მიწა აღარა სკდებოდა და ცეცხლმაც იკლო, მაგრამ აგერ დღეს მეცხრე დღეა და ჯერაც არ გამქრალა აქ ცეცხლი.

მეორე დღეს, ესე იგი 6 იანვარს, წაველი მე თვითონ იმ ადგილას დასახედავად. ვნახე ის ადგილი და ერთობ შესანიშნავი და გასაშტერებელი სანახავი წარმოჰიდგა თვალ-წინ. ის ადგილი მე წინადაც ნანახი მქონდა: ზაფხულში ხშირად დავდიოდი ყმაწვილებით იმ ალაგას, საიდამაც ეხლა ცეცხლი ამოიფრქვა. დავდიოდი (მიტომ, რომ აქედგან ძრიელ კარგი გადასახედავი იყო კასპის ზღვასა და წითელს ტბისაკენ. მაგრამ ეხლა იმ გორას სრულებით გამოსცვლია შეხედულობა. სადაც გორა იყო, იქ ჩავარდნილი ადგილია, რადგანაც ამოდის ცეცხლი და შიგ ჩახედვა არ შეიძლება. სადაც ვაკე მინდორი იყო, იქ გორა გაკეთებულა. ახლო-მახლო დამსკდარ მიწიდგან ცეცხლის ალი ხან ამოდის და ხან ისევე ჰქრება.

თუმცა პირველ ღამეს მეტად შეშინდნენ ახლო-მახლო სოფლელები და უმეტესად უფრო პუტის სადგურში მყოფნი, მაგრამ ეხლა ისე შეეჩვივნენ, რომ ყმაწვილები მიდიან და ცეცხლზედ ხელს ითბობენ.

პირველ ღამეს ისეთი დიდი ხმა ისმოდა დედა-მიწის ნძრევის გამო, რომ ძრიელ შორს გაუგონიათ. სინათლეც დიდი მოიფინა გარშემო. აჯი-კაბულში, რომელიც 100 ვერსზედ არის აქედამ, გარეთ წიგნი წაიკითხებოდაო. ამ ჟამად დიდ-ძალი ხალხი მოდის ყოველ-დღე ამ ადგილის სანახავად.

როგორც შევიტყე, სწორედ იმ ადგილას, საცა ეხლა ცეცხლი ამოდის, წინადაც, 1864 წელსაც ამოფრქვეულა. ამ ადგილს დღესაც სახელად ეწოდება „ლოვ-ბატანი“.

დ. კალანდარიშვილი

ამბები რკინის გზიდამ.

ყველა თავისას ჩიოდა, შენახირე ბუზანკალსაო—იტყვიან. ყველა თავისას სწერს და ლაპარაკობს და ერთხელ ჩვენკენ არ გადმოიხედავს, მაშ, მოდი, ჩვენც ჩვენს თადარიგს შევუდგებით დღეიდგან და ვეცდებით, შეძლებისდა გვარად, მკითხველს საზოგადოებას ჩვენი ყოფა-ცხოვრება გავაცნოთ, საიდგანაც ისინი ბევრს საგულისხმო ამბებს გაიგონებენ. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მთელის რკინის გზის მოსამსახურენი ოსტროვსკის ერის ტიპს წარმოადგენენ—დოსუჟევს, რომელიც ამბობს: დავლევთ, დავიხოცებით, არ დავლევთ, მაინც დავიხოცებით,—მაშ, მოდი, ისევ დავლიოთო. აი სწორეთ ესეთი ხალხია. ან სხვა რა დარჩენია სმის მეტი იმ ხალხს, რომელსაც დღე თუ ღამე, ცხადად თუ სიზმარში სიკვდილი წინ უდგა თავის ბლვრიალა თვალებით. გული ხომ აღარ არის! გული გარკინავდა, გაქვავდა ამდენის რკინის ყურებით. ისე წარბ-შეუხრელად ყასაბს როგორ შეუძლიან ძროხა დაკლას, როგორც გულ-გრილად ჩვენ ხალხსა ესრესავთ. შეხედავ, მოჰყვა მატარებლის ქვეშ რომელიმე მოსამსახურე და ნიორივით დაინაყა. მოიხედავ, მეისრის ტანს მოარბევინებენ და უკან ხელსახოცში ანუ მის პალტოშივე გამოხვეული მისი ფეხები მოაქვთ... მადლობა უფალს, სხვა რა გაგვეწყობა! ზიხარ შენს ოთახში და მეცადინობ. გაიღო კარები და შემოვარდა უფროსი მეისრე... „ჰა, რა იყო? ვინ გასრისა? მოკვდა, თუ არა?“—არაფერია, ბატონო, ივანე ბიჭი მოჰყვა ვაგონ-ქვეშ და მხოლოდ მარჯვენა ფეხი მოჰგლიჯა და მარცხენა ხელი. „არა უშავს-რა, ყოჩაღი ბიჭია, არ მოკვდება.“ აგაშენოს ღმერთმა, კარგა არაფერია!.. მიაქვთ წიაღით უბადრუკი ივანე საავად-მყოფოში. აი საჩქაროდ მობძანდა უფროსი ექიმიც. დააწვინეს ავად-მყოფი დაზგასავით გამართულს მაღალს ტახტზედ, ასუნებინეს დასაძინებელი წამალი; დაიმკლავა ექიმმა, აიღო ხელში თავის მჭრელი დიდი დანა ისე გულ-გრილად, თითქო ვიჩინა უნდა დასჭრასო, დაუსო ფეხს, ხორცი მოაშორა, მერე უცბად ხერხით ძვალიც გადახერხა და... არტალა თავის ოთხს თანაშემწეს გადაუგდო. ფეხი შეუხვიეს. ავად-მყოფი ტუჩებს აცმაცუნებს და ძილში საზარელის ხმით მღერის, არა სტირის; და სუყველა ეს არაფერი, საყველპურო, საყოველ-დღეო ამბავია. ავადმყოფები, ღვთის მადლით, უმეტესს ნაწილად გადარჩებიან ხოლმე. თუ ბძანებთ, რად არის ესეთი უბედურება ასე ხშირადაო, ამის მიზეზი სულ უბრალო გახლავთ: ჩვენი ხალხი (უმეტესს ნაწილად) კერპი, დაუდევარი და შეუპოვარია. გაქანებულს მატარებელს ანუ ვაგონს გამოეკიდება და კატასავით შეახტება ზედ. თუ ფეხი დაუსხლტა—მშვიდობით ცოლო-და-შვილო; მეტადრე ეხლა, როცა ლიანდაგი გაყინულია და ფეხს ისხლეტს. ამ გვარი საქციელი სასტიკად აღკრძალულია და თუ უფროსმა შეამჩნია, ნახევარ ჯამაგირს ჯარიმას გადაახდევინებს, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან.

ამ ამბების მაცქერალნი აქამდის თითქმის გადარჯულებულნი იყვნენ რკინის გზაზედ მოსამსახურენი. ბევრჯელ ავად-მყოფი ულვდლოდ და უზიარებლოდ მოჰკვდომიათ, დღეს კი ესენიც მართლა ქრისტიანებში გაერივნენ. საკუთარი მღვდელი დაუყენებიათ და ეკკლესიასაც მალე აიშენებენ.

მათდა სასიამოვნოდ და სხვათა საგულის-ხმოდ, ახალ-წლიდგან „რკინის გზის მოძღვრად“ დაჰნიშნეს მღვდელი იროდიონ ნანაბოვი, ახალგაზდა, გულ-მოდგინე და დარბაისელი ქართველი კაცი, მტკიცე და ერთგული თავის წმინდა მოვალეობისა. მამა იროდიონი, ტფილისის სემინარიაში კურსის შესრულების შემდეგ, გამწესებული იყო ნუხში. დიდი ხანი არ არის, გადმოიყვანეს ტფილისში, ნავთლუხის წმ. ბარბარეს ეკკლესიაში; ხოლო ამ წლის პირველის იანვრიდამ დანიშნულ იქმნა მთელის რკინის გზის მოსამსახურეთა მოძღვრად. პირველად 6 იანვარს მ. იროდიონმა წყალი აკურთხა და პარაკლისი გადიხადა ტფილისის სადგომზედ ფართო ზალაში. სასიამოვნო და გულ-ალმძვრელი ამბავი იყო, გენახათ ტფილისის სადგომზედ მოსამსახურენი თავიანთ ცოლ-შვილით (ათას-ორასამდე მოსამსახურეა), როგორ ერთის გრძნობით და ერთის სიამოვნებით აღძრულნი იყვნენ. თქვენ აქ ნახავდით—ქართველს, რუსს, პოლშელს, სომეხს, ინგლისელს, გერმანელს, ფრანგს. შემდეგ წყლის კურთხევისა, მ. იროდიონმა დაიარა მოსამსახურეთა სახლები და ასხურა წმ. აიაზმა. მიწვევნას და პატივს ბოლო არა ჰქონდა. ხროვა-ხროვა დასდევდნენ მ. იროდიონს მოსამსახურენი და ყველა თავის სახლში ეპატიჟებოდა. პირველს საათზე შეიკრიბნენ სადგომის დიდს დერეფანში მოსამსახურენი, შუაში ჩაისვეს მამა იროდიონი და საერთო სურათი გადაალებინეს ფოტოგრაფს. საღამოზედ რკინის გზის მოძრაობის (движение) უფროსის განკარგულებით ხალხის მატარებელს მიაბით პირველის კლასის ვაგონი საკუთრად მ. იროდიონისა და მის დიაკვნისათვის და გავისტუმრეთ ბაქოსკენ. რადგანაც ხალხის მატარებელი სადგომებზედ ცოტა ხანს სდგას, ასე რომ მღვდელი მარტო მოასწრობდა, სადგომები გაენათლა აიაზმის სხურებითა, ამისათვის მატარებლის უფროსს ნაბძანები ჰქონდა, საჭიროების დაგვარად, სადაც მოისურვებდა მ. იროდიონი, მოეხსნათ მისი ვაგონი და მოებათ იმ მატარებლისათვის, რომელსაც ისურვებდა იგი, ხალხისა იქნებოდა თუ საქონლისა. მატარებლის წასვლისათანავე, დეპეშით აცნობეს ბაქომდის ყველა სადგომების უფროსებს, რომ დახვედრიყვნენ თავიანთს მოძღვარს. მართლაცა და დიდი თანაგრძნობა და პატივისცემა აღმოუჩენიათ ყველას თავის ახალის მოძღვრისათვის, განსაკუთრებით უჯარაში. გუშინ მ. იროდიონი დაბრუნდა თავის მოგზაურობიდგან და დღეს წაბძანდა ბათუმისკენ. დიდ-მარხვისთვის ეკკლესიაც მზად იქნება. ეკკლესიას აშენებენ დიდს ვაგონში, რომელიც დაჯდება თავის მოწყობილობით ორი-ათას თუმნამდე. ეს ეკკლესია-ვაგონი ივლის ბათუმიდგან ბაქომდე მამა მღვდლის განკარგულებით. წირვა ლოცვა იქნება დიდს სადგომებზედ დიდ-მარხვაში, ხოლო პატარა სადგომებიდამ შეუძლიანთ მოსამსახურეთ ადვილად იარონ, რადგანაც გახშირებული მოძრაობაა გზისა.

დასასრულ ვისურვებთ, რომ ის დიდი პატივის ცემა და სიყვარული, რომელიც პირველად განუცხადეს მოსამსახურეთ მ. იროდიონს, ბოლომდის დარჩენილიყოს, და აგრეთვე მ. იროდიონს, თავის მაღალის დანიშნულების დაგვარად, შრომითა და მეცადინეობით გაეორკეცებინოს ეს მისდამი სიყვარული.

ახაზი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ზნეობის სასტიკ დამცველებმა ქადაგება დაიწყეს. მრისხანის სახით მოართეს ხმა-მაღლა ღაღადება, რომ ქალების ზნე-ყოფა-ქცევა დაეცაო.

გაზეთს ‹Новости›-ს მოჰყავს რამდენიმე ადგილი ამ იერემიების გოდებიდამ.

> არისტოკრატების უსაქმობა ჰლუპავდა და ჰლუპავს ჩვენს საზოგადოებასა. ქალებს ისე ზრდიან, ქალებს სულ იმას ჩაჰჩიჩინებენ, რომ ადამიანის სიცოცხლის უმთავრესი საგანი სიყვარულია და სიამოვნებაო. ესენიც, რასაკვირველია, მტკიცედ ითვისებენ ამ მოძღვრებას და გადაჭარბებით ეძლევიან გულის წადილს. მთელ სიცოცხლეს იმაში ატარებენ, რომ ეს წადილი აისრულონ. მანდილოსნები და ახალგაზდა ქალები აღარც კი მორცხვობენ და ან ტანისამოსით, ან ნახევრად-ტიტველა ტანით თავს აწონებენ საზოგადოებას. ქალი სულ უკან-უკან მიდის და მამა-კაცს უშორდება, როგორც ტანის აგებულობით, ისე გონების განვითარებით... ამბობენ, გითომ ცხოველებში დედალ-სქესის ხნიერი, ბოროტი და მახინჯი მამალ-სქესი უფრო მოსწონსო. განა ჩვენი ქალები კი ასე არ იქცევიანო?

ეს კი ძრიელ გადაჭარბებულია! მართალია, ქალებს ბევრი ავი სჭირთ, ბევრი წუნი აქვთ, მაგრამ არც კი ისე უნუგეშოდ გადაგვარებულნი არიან, როგორც „ზნეობის“ თავს დამტირალნი ჰგოდებენ. ისიც უნ-

---

ლებულია და ხშირად ისეც მოხდება ხოლმე, რომ გააფთრებული ხარი რქებით იქავ გამოჰფაშავს გამბედავს მოჭიდავესა, და ხარზედ უარესად პირუტყვად გარდაქმნილი კაცი ტაშს უკრავს. ამ სასისხლო ამბავს დიდის გატაცებით უცქერიან ისპანიელნი.

ეხლა ეს ბ-ნი ლუიჯი ჰავანაში მიუწვევიათ და ას ორმოც-და-ათი-ათასი ფრანკი აღუთქვამთ, ოღონდ რვა-ჯერ გვაჩვენე ხართან ჭიდაობის სეირიო. 150,000 ფრანკი!... ოთხი-ათას თუმანზედ მეტს ფულს დაიჭერს. რისთვის? მარტო იმისთვის, რომ ან თვითონ იქმნას გამოფაშული ხარისაგან სისხლის ხარბთა კაცთა სასიამოვნოდ, ან ხარი მისგან. მოდით და ამას იქით სთქვით, რომ ძლევა-მოსილ მეცხრამეტე საუკუნეში ვცხოვრებთო? რამდენი კაცი იქ ჩუმად სადმე მიმალული ჩასცვებია ერთს რასმე გამოსაკვლევს, აცა ქვეყანას რაიმე სახსარი და შვება მიეცეო და ამისათვის შიმშილს, წყურვილს ითმენს და არავინ ზედაც არ უყურებს, თუნდაც გაჭირებისაგან სულიც ამოხდეს და ამავე დროს ხართან ჭიდილისათვის-კი ოთხი-ათას თუმანს არა ჰზოგვენ. მოდით და ნუ იტყვით, რომ ქვეყანას ღერძი გასტეხია და უკულმა ჰტრიალებსო!...

* * *

მოლიერზე ატეხილმა ამბავმა ერთ ხანად დიდი ყურადღება მიიქცია, მით უფრო, რომ ამ საქმეში ურევია უცნაური „რკინის ნიღაბოსანი“ და საიდუმლოებით მოცულია, და აბა სულ-წასულნი პარიჟელები როგორ სმენად არ გადიქცეოდნენ! მოართეს ლაპარაკი პარიჟის გაზეთებმა, სჭრეს, ჰკერეს, მაგრამ რომ ვერა გააწყეს რა, თავი მიანებეს. ან კი როგორ არ მიენებებინათ თავი, როცა პარიჟელებს სალაპარაკოდ „კობელკოვი“ გაუჩნდათ! ოჰ, ყურადღების ღირსია ეს კობელკოვი! მთელი პარიჟი დღეს ამაზედ ლაპარაკობს; მერლატი, ცუკკი და სხვა უჭმელ-უსმელი მემარხულები კარგა ხანია მოსწყინდათ, და აი სწორედ კაი დროს გამოჩნდა ეს „კობელკოვი“. პარიჟი თავს დასტრიალებს ამ კაცსა.

მაინც ვინ არის და რით არის შესანიშნავი ეს კობელკოვი? კობელკოვი ერთი უხელ-ფეხო კაცია, ასე რომ სრული კაცი არც კია. აბა რა კაცი უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც მარტო თავი და ტანი აქვს. თუმცა ბუნებას ასე დაუბრიყვნია, ასე მახინჯად და ნახევარ-კაცად შეუქმნია კობელკოვი, მაგრამ თვითონ კობელკოვი სრულიადაც არა ნაღვლობს, რომ ბუნება ასე უსამართლოდ მოექცა. პირ-იქით, კობელკოვი ძალიან მხიარული კაცია თურმე და ბედნიერადაც სთვლის თავის თავსა. ან კი რატომ არ იქნება მხიარულად, როდესაც, ამ ბუნებით ნაკლულოვანების წყალობით, კაცს მთელი სიმდიდრე შეუძენია.

მართლა და შესანიშნავია თურმე ეს უხელ-ფეხო, კუტი კაცი. ამ უცნაურ კუტს ვარჯიშობით იქამდე მიუხწევია, რომ სკამიდამ თავის თავად ძირსა ხტება, მიჭყა-მალაყს გადადის ისე ყოჩაღად, როგორც თქვენი მოწონებული, მარდი და ხელ-ფეხიანი ტაკი-მასხარა. შეუძლიან კალამი დაიჭიროს ნიკაპსა და მხარს შუა, საწერელში ამოაწოს და დაწეროს ყველას გვარი, ვინც ამის სანახავად მიდის. მოცლილ დროს მხატვრობს კიდეცა თურმე. ამ უცნაურის მხატვრის სურათებს კარგი ბაზარიცა აქვს. სხვის დაუხმარებლად საჭმელსაცა სჭამს, სვამს კიდეცა, ჯიბიდამ საათს იღებს და ჰსინჯავს. დამბაჩას ისვრის და სანთელს აქრობს. ტანისამოსს ისე ადვილად იცვამს თურმე, რომ ზოგიერთ ლუარსაბ თათქარიძემ, რომელიც უმოსამსახუროდ ფეხსაცმელს ვერ ჩაიცვამს, იქნება კიდეც შეჰნატროს.

ამ უხელ-ფეხო კაცს ცოლი და ხუთი შვილი ჰყავს. შვილები სრულიად ჯანმთელები და უნაკლულონი არიან. ორი უფროსი შვილი პარიჟის ერთს საუკეთესო სასწავლებელში იზრდებიან. კობელკოვს შვილებმა დიდი ბედი მოუტანეს. როდესაც ამ მახინჯს პირველი შვილი ეყოლა ქალაქ ბორდოში, ერთი კარგი აზრი მოუვიდა თავში. კობელკოვმა თითქმის ბორდოს ყველა მანდილოსნებს შემდეგი წერილი მისწერა: „ღმერთმა მომხედა და შვილი მეყოლა, რომელსაც მშვენიერი ხელები და ფეხები აქვს. იმედი მაქვს, რომ თქვენც გაგაბედნიერებთ და მომილოცავთ ასეთ ლამაზის შვილის ყოლას“.

კობელკოვის ხერხმა გასჭრა,—ცნობის-მოყვარე მანდილოსნები ათასობით გაემგზავრნენ „პატარა კობელკოვის“ სანახავად, და, რასაკვირველია, ხელცარიელები არ მიდიოდნენ. თუმცა მური და გუნდრუკი არ მიჰქონდათ ძღვნად, მაგრამ ვერცხლი კი ბლომად ჩადიოდა კობელკოვის ჯიბეში. რაკი ბედმა ერთხელ გასჭრა,—წავიდა და წავიდა, და დღეს კობელკოვი კარგად მდიდარი, შეძლებული კაცია, თავის საკუთარი სახლი აქვს, საკუთარი ცხენები ჰყავს და მშვენიერ „კალიასკით“ დასეირნობს პარიჟის ქუჩებში.

ეხლა ბევრი ხელ-ფეხიანი არ შეჰნატრებს ამ უხელ-ფეხოსა?

* * *

განა მარტო მამა-კაცები არიან ესეთი ოსტატები, როცა უხელ-ფეხოდ არიან? როგორც ეტყობა, დედა-კაცებიც არ ჩამოურჩებიან.

აი ევროპაში დღეს ერთი ქალია, გვარად გაუსმანი, რომელსაც დაბადებიდამვე არც ერთი ხელი არა აქვს. ამ მოკლე ხანში ეს ქალი გათხოვდა და ვიღაც რაუშიდმა შეირთო. ქორწინების ქაღალდს ფეხით მოაწერა ხელი. ბეჭედი მარცხენა ფეხის ნეკზედ გაუკეთეს. როცა ერთმანეთისათვის ერთგულობის ფიცი უნდა მიეცათ და ჩვეულებისამებრ ცოლ-ქმარს ერთმანეთისათვის ხელი ჩამოერთმიათ, პატარძალმა აიღო და ქმარს ხელის მაგიერ, რომელიც არა ჰქონდა, ფეხი გაუწოდა.

საკვირველია, ღმერთმანი! ჩვენში ხელებსაც ვერა ხმარობენ და აი ევროპაში კი ფეხებსაც ხელებად აქცევენ. რა სულელები არიან!..

დონ-ადგო

და ვსთქვათ ქალების გასამართლებლად, რომ კაცები უფრო ბევრში არიან ბრალნი. რასაკვირველია, გასაკიცხავია, როდესაც ქალები ისეთს ტანისამოსს იცვამენ, რომ ნახევარ-ტანი ტიტველა აქვთ. მაგრამ ქალებისა რა ბრალია? თუ კი კაცებს ასეთი ტანისამოსი მოსწონთ?!... არა, სწორედ დიდი უსამართლობაა და უზდელობაც, რომ ქალებზე ასე მკაცრად ლაპარაკობენ!..

* * *

იმავე გაზეთ «Новости»-ში ერთი საყურადღებო ამბავია მოყვანილი გლეხების ცხოვრებიდამ.

სოფელში დუქანი გაალეს. არაყი დიდს ხალხს იზიდავდა დუქანში. გლეხებმა მთელი თავის ცხოვრება თითქმის მედუქნეს გადასცეს. რო აღარა დარჩათ-რა, სახლში ლურსმებს აძრობდნენ და დუქანში მიჰქონდათ. დაიღუპა ხალხი, შეწუხდა, სახლში აღარაფერი შეჰრჩა, ხარჯს ველარ აჰსვდია. ველარ შესძლეს... ბოლოს დაფიქრდნენ:—უნდა საქმეს რითიმე ვუშველოთო.

> გაიმართა სოფლის ყრილობა. ილაპარაკეს იყაყანეს, იყვირეს, ილანძღეს,—კინაღამ ჩხუბზედაც არ მივიდა საქმე... იყაყანეს, იყაყანეს და ბოლოს გადასწყვიტეს; მაზრის სასამართლოში წავიდეთ, ჩვენი დარდი შევჩივლოთ და ვთხოვოთ, რომ ჩვენს სოფელში დუქანი გააუქმონო, რადგან დუქანმა დაგვღუპა, დაანიავა ჩვენი ცხოვრებაო.

გლეხები ემზადებიან მთავრობასთან წასასვლელად. მედუქნე კი თურმე თავისთვის არხეინად დგას დუქანში და გულში ჩაიცინება. მივიდნენ მთავრობასთან, შესჩივლეს, უკანაც დაბრუნდნენ და ელიან: ვნახოთ, მთავრობა რა წამალს დაგვდებსო. მთავრობამაც მარტივი პასუხი მისცა:

> რადგან საზოგადოებას ერთხელ სასოფლოდ დაუდგენია და დუქანი კიდეც გაუხსნია, ნება აღარა აქვს იმავე საზოგადოებას ითხოვოს, რომ დუქანი ისევ დაკეტონო.

ეს გარდაწყვეტილება ძალიან შკვიანურიაო, ამბობს გაზეთი. ან კი სხვა რა ღონისძიება მოეგონა, როდესაც ჩვენც ორ წყალ-შუა ვართ:

> ერთის მხრივ ვამბობთ: გლეხმა არ უნდა სვას, რადგან სმა თვით ამის კეთილ-დღეობასაც ავნებს და სახელმწიფოსაც დიდს ზარალს აძლევს; მეორეს მხრივ ვიძახით: გლეხმა უნდა სვას, რადგან ამით სახელმწიფო ხაზინას დიდი შემოსავალი ეძლევაო.

მოდი და გამოიცან ეს მართლა რომ თავ-სამტვრევი გამოცანა!..

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ორიოდე სიტყვა მოვახსენო ქართულის დრამატიულის საზოგადოების კამიტეტს.

ასაცილებლად იმ უსიამოვნო მოვლენისა, რომელიც შეიძლება მოხდეს ასე ხშირის თამაშობით ჩემის მცირედის ნაწარმოებისა, უმდაბლესად ვსთხოვ დრამატიულს კამიტეტს და მისს წარმომადგენელს, ბ-ნ დასის მმართველს, მიიღონ შრომა და ნუ ინებებენ დღეიდგან ნუ რა გვარ ჩემ ნაწარმოებთა წარმოდგენას.

უმდაბლესის პატივის-ცემით
ა. ცაგარელი

გასართობი

უცნაური შლიაპები. პარიჟის ქალებს ახალი შლიაპები მოუგონიათ. ამ შლიაპებს მხოლოდ მაშინ იხურავენ თურმე, როცა თეატრში აპირებენ წასვლას. ეს შლიაპა გალიაა ოქროსა და ვერცხლის მავთულებით გაკეთებული. გალიები გარედგან ყვავილებით არის შემკობილი. გალიებში ჩიტია ჩასმული, ზოგში ბულბული, ზოგში მტრედი, ჭიკჭავი და სხვა. მაგალითებრ, ამას წინად ერთს საღამოზე ერთის ქალის შლიაპაში მტრედი მჯდარა და მეორე ქვრივის ქალის შლიაპაში ბულბული. დაიწყობენ თუ არა თურმე თეატრში არტისტები მღერას, ეს შლიაპაში მომწყვდეული ჩიტებიც ჭიკჭიკს გააბამენ და, რასაკვირველია, უშლიან მომღერლებს. ამიტომ პარიჟის თეატრების ზოგიერთ დირექტორებს განუზრახავთ, რომ იმ ქალებს, რომელთაც ეს ახირებული შლიაპები ეხურებათ, თეატრში სიარული აღუკრძალონ.

**

რა უნდა იყოს? ორი ბოქაული მისულა ერთს ალაგას სახლის ასაწერად. აწერის დროს სხვათა შორის ერთი ბოთლი ღვინო შეხვედრიათ ასაწერი. ერთს ბოქაულს გემო უნახავს და უთქვამს:

— ეს ღვინო მაჭარ-ნარევია.

— მაჭარ-ნარევი არ არის, დარწმუნებით სთქვა თურმე ახლა მეორემ, რაკი მოსვა ღვინო.

— არა, არა, გარწმუნებთ, რომ ახალი ღვინოა, მაჭარ-ნარევია.

ბოქაულებს კიდევ უნახავთ ღვინის ჭაშნიკი, მაგრამ მაინც ვერ მორიგებულან.

— მაჭარ-ნარევია.

— არა-მეთქი, ძველი ღვინოა, აბა მოვსვათ კიდევ, და ორივეს გაუსინჯავთ ხელახლად გემო.

— მაშ რას იტყვი, როგორ ჩავწერო? მაჭარ-ნარევი, თუ ძველი ღვინო?

— არა, ისევ ის ემჯობინება, რომ ჩასწეროთ, ცარიელი ბოთლი იყო-თქო, უთქვამს მეორე ამხანაგს, რაკი უნახავს რომ ბოთლში აღარა დარჩენილა-რა და სავსე ბოთლი ჭაშნიკის შინჯვის დროს გამოცლილა.

დეპეშა

15 იანვარს

ხარკოვი. ბაზრობა დღითი დღე ცხოველდება; საქონელი განუწყვეტლივ მატულობს; შორიდამ მოსულნი ბევრნი არიან; ერთი-ერთმანერთს ჯერ-ჯერობით პირ-ნათლად უსწორდებიან; კარგად გაშრობენ საწვრიმალოებით, ფარჩეულობით—შუათანად. ბაზრობა წელს გვიან გაჩაღდება.

ლონდონი. დღეს შეკრბა პარლამენტი და წაკითხულ იქმნა ხეფე-სიტყვა. ხეფე-სიტყვაში ნათქვამია უპირველეს ყოვლისა, რომ ინგლისი ყველა დიდ სახელმწიფოებთან კარგად არის. შემდეგ ნათქვამია:

ევროპის სამხრეთ-დასავლეთისკენ საქმეები ჯერ რიგში არ არის მოყვანილიო; მაგრამ მე მაინც არა გშიშობ და არა გგონებ, რომ ამ გადაუწყვეტელისა და რიგში მოუყვანელის საქმეების გამო ევროპის მშვიდობიანობა დაირღვეს როგორმეო. მე თუმცა ვნანობ იმ გარემოებათა გამო, რომელთა მიზეზათაც ალექსანდრე მთავარი ბოლგარიისა იძულებული იყო უარი ეთქვა სამთავროს გამგეობაზე, მაგრამ მაინც მე საჭიროდ არ ჩავთვალე გავრეულიყავ მის მოადგილის ამორჩევაში, ვიდრე საქმე იქამდე არ მივა, როცა ბერლინის ხელშეკრულობის ძალით ჩემი თანხმობა იქნება საჭიროვო.

16 იანვარი

პეტერბურგი. როცა მოსკოვის თავად აზნაურთა კრება დაიწყო, მოსკოვის გენერალგუბერნატორმა წარმოსთქვა სიტყვა და სთქვა, რომ ეხლა თავად-აზნაურობა ფეხმაგრადა ჰგრძნობს თავსა და მისი გზა ცხადად არის წინ გაშლილიო. „ხელმწიფე იმპერატორის მტკიცე და ძლიერ რწმენათა წყალობითაო,—სთქვა გენერალ-გუბერნატორმა,—აგრეთვე იმის მეოხებით, რომ ნება და წადილი მათის უდიდებულესობისა შეურყეველია, საზოგადოებრივი ფესვი ჩვენს სამშობლოში გამაგრდაო. თავად-აზნაურთა წოდებამ კარგად იცის თავისი სამოქალაქო უფლებანი და მოვალეობანიო“. შემდეგ გენერალ გუბერნატორმა მოიხსენა, რომ პირდაპირი მოვალეობა თავად-აზნაურობისა, როგორც უმაღლესის წოდებისა, ის არის, რომ იყოს ერთგული დარაჯი ტახტისა და სამშობლოსიო და სთქვა: თავად-აზნაურობას სხვა საზოგადოებრივის მოღვაწეობის ვალიც აძევსო; მან უნდა დაარსოს კრედიტი თავად აზნაურთა მამულებისათვის ხვნა თესვის განსაკარგებლადა და ყმაწვილების აღსაზრდელადაო.

ლონდონი. სალისბერმა სთქვა ლორდთა პალატაში: ხმები ბატენბერგების აღდგენისა მართალი არ არის. დარწმუნებულნი არიან, რომ მეორედ მისი არჩევა თავს ვერ დაიჭერსო და არც ერთი სამინისტრო და უფრო ლონდონისა ამისათვის სულაც არა სცდილობსო. ბალკანიის ნახევარ-კუნძულის გამო, ინგლისს სახეში აქვს მარტო ის მოვალეობანი, რომელნიც ბერლინის ხელ-შეკრულობიდამ გამომდინარეობენ და მის ანდერძად მიჩნეულ პოლიტიკას შეეფერებიანო, იმ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მასზედ, რომ ბალკანიის ქრისტიანე ერნი დამოუკიოებელის პოლიტიკურის ცხოვრებისათვის აღადგინოს ინგლისი იმასა არა სცდილობს, რომ განსაკუთრებული ზედ-მოქმედება იქონიოს ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ. რუსეთს-კი არამც თუ უარს ეუბნება განონიერი წილი იქონიოს მაგ ზედ-მოქმედებისა, არამედ მოხარულიც იქნება, თუ ზემოხსენებულ პირობათა დაურღვევლად, განონიერი სურვილი რუსეთისა განხორციელდება. ინგლისი მარტო იმას ვერ მოიწონებს, თუ რუსეთმა იმეცადინა თვისი უზენაესი ხელმწიფება დაადგინოს ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ. იმიტომ-რომ ეგ არამც თუ რუსეთის ზედ-მოქმედებას ავნებს, არამედ მეტად სავნებელი შედეგი ექმნება ევროპის ინტერესებისათვისაცა. ამის შემდეგ სალისბერიმ დაიწყო ლაპარაკი იმ ხმების თაობაზედ, რომელიც ომის ატეხის გამოა გავრცელებული და სთქვა: ამ ხმებს ფრთხილად უნდა მოეპყრას კაციო, მაგრამ მაინც კი არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ მშვიდობიანობას განსაცდელი მოელის ეგრეთვე გაძლიერებულ შეთოფიარაღებისაგანაო. სიფხიზლე საჭიროა, მაგრამ სიფხიზლეს ეჭვი მოსდევს და ეჭვი შესაძლოა შუღლის მიზეზად შეიქმნას. გულდასაჯერებელი საბუთი კი მისი, რომ ვითომც დღეს შიში უფრო გაძლიერებული იყოს, ვიდრე რამდენისამე თთვის წინად, არ არსებობს. ბრიტანიის ელჩთაგან პარიჟიდამ და ბერლინიდამ ცნობა გვაქვს, რომ დღევანდელს ყოფას უფრო სამშვიდობო ფერი ადევსო. ბოლოს სალისბერიმ გამოსთქვა იმედი, რომ ევროპას არ შეემთხვევა იმისთანა უბედურება, როგორიც თოფ-იარაღით დატაკებაა განათლებულთ სახელმწიფოთა შორის.

ჩერჩილმა აუწყა, რომ იგი დაეთხოვა სამსახურს იმის გამო, რომ შეთოფ იარაღებაზედ არ ეთანხმებოდა სამინისტროს. სალისბერისთან მიწერ-მოწერა წაკითხულ იქმნა და აღმოჩნდა, რომ სალისბერი თავ გამოდებით ჰთხოულობდა შეთოფ-იარაღებას, ჩერჩილი კი იმ აზრზედ მდგარა, რომ თუ გონიერად გავუძღვებით პოლიტიკასა, ინგლისი შიშს გარედ იქნება და სალისბერის პოლიტიკა კი შიშს უქადის ინგლისსაო.

„ივერიის“ ფოსტა

ქ. ს—ლს. ტ—ნ მ—ნ—ვს. კარგი რამ თუ მოგვივიდა, ყოველთვის სიამოვნებით ვბეჭდავთ. თუ თქვენი წერილი „ერთს კაცზედ“ არ დაიბეჭდა, იმიტომ რომ მარტო ერთს კაცზედ არის დაწერილი. ეს ერთი და მეორეც ისა, რომ დაუბეჭდველის წერილების გამო მიწერ-მოწერას თუ გამოვუდგეთ, ჩვენ მაგას მოვუნდებით. ამიტომ არის გამოცხადებული გაზეთში, რომ „დაუბეჭდველის წერილების გამო რედაქცია არავითარს მიწერ-მოწერას არა ჰკისრულობსო“.

ან. კ—ვს. არა-ერთხელ უთქვამს „ივერიას“, რომ ყველა ლექსი ლექსი არ არის: ლექსს სიტყვების ბოლოების მოწყობის გარდა, პოეზიაც უნდა და სწორედ ეგ აკლია თქვენს ლექსსა. ტყუილად მომცდარხართ. თქვენის ლექსითვე გიტყვით თქვენს გამოგზავნილს ლექსზედ:

გაგბრაზდი და მეჯავრა
დავუყუვრე ლექსის მთქმელსა,
მოდი ნახე ესა რაა
მისი სუნი ცხვირში გვცემსა!

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

იანვარი 31 დღით არის.

17 დღე შაბათი. ღირს. ანტონი დიდისა. სომეხ. პეტრე მამა-მთავარ., ვლასა ეპისკ. და სხვა. კათ. ანტონისა და ბერნარდისა. მუსულ. მე-6 რიცხვი თთვისა ჯემადულ-ევველისა 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13—0. ტფილისში მზე ამოდის 7—16, ჩადის 5—11; მთვარე ამოდის 10—10 საღ.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3 ›
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჭვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›
სუკი. . . .	14 ›
ცხვრის ხორცი . . .	8 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საღამოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამხლვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრაპს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება

თბილისში გრ. ჩარკვიანის და ქუთაისში ძმათა ჭილაძეების მაღაზიაში:

საქმბართა ქმბანი

წერილი პირველი

დ. კარიჭაშვილის მიერ.

(3—1)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—33)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან

ინსტინკტი (ალლო) დარვინის თეორიის შეხედულობით, თარგმანი რომანოზ ფანცხავას-მიერ, ფასი 15 კაპ.

ღოთი კაცის ხიკვდილი, მოთხ. ჩარლზ დიკენსისა, თარ. ივ. ხოტეველისა. ფასი 5 კაპ.

გამოცემანი ზ. ჭიჭინაძისა

განცელარია და ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ ღია არის: საღამოთი ყოველ-დღე, კვირას გარდა, 4—6 საათამდე; ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს დილით 8—10-მდე; კვირაობით დილის 11—1 საათამდე საღამოსი. (10—8)

Дозв. ценз. Тиф. 16 января, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე